საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ბრძანება N01-11/95

ქ. ბათუმი 05 დეკემბერი, 2013 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №2 და 29 აპრილის №1 გადაწყვეტილებების და ბიბლიოთეკის დირექტორის, ლელა თურმანიძის 2013 წლის 26 ნოემბრის №5671 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტთა მიერ **2013 წლის 09 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში** ბსუ-ს კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს:
   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ **(დანართი 1);**
   ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცელთან ერთად;
   დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

3. სტაჟიორთა შერჩევისას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება უცხო ენის (ინგლისური/რუსული) და საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, კალიგრაფია, სტუდენტის აკადემიურ მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს.
4. 2014 წლის 14 იანვრის ჩათვლით პერიოდში, კონკურსის წესით, შეირჩევა 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დილისა და საღამოს ცვლებში სამუშაოდ). შერჩეული კანდიდატები 4 თვის განმავლობაში გაივლიან სპეციალურ პროგრამას საბიბლიოთეკო საქმის ცალკეული საკითხებში. სტაჟირების პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ კი, 4 თვიანი კონტრაქტით დასაქმდებიან ბსუ-ს ბიბლიოთეკაში -

აბონემენტზე მომსახურების განყოფილებაში, წიგნთსაცავში; დაეხმარებიან საბიბლიოთეკო დოკუმენტების დამუშავებისა და დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომლებს; მონაწილეობას მიიღებენ ელექტრონული რესურსების ორგანიზების საკითხებში. სამუშაო საათები განისაზღვრება შემდეგი განრიგით:

ორშაბათი - პარასკევი

პირველი ცვლა

9^{00} სთ - 14^{00} სთ

მეორე ცვლა:

14^{00} სთ - 19^{00} სთ

5. წარმატებულ სტაჟიორებზე გაიცემა სათანადო სერტიფიკატი.
6. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება 250 ლარით;
7. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**

დანართი 1.

განაცხადი სტაჟირებაზე

1. გვარი, სახელი ----------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

---

7. ბსუ-ს რომელ ფაკულტეტზე, სპეციალობაზე სწავლობთ

ჩარიცხ.წელი	მიმდ. სემესტრი	სპეცილობა	ფაკულტეტი

8.. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

შეაფასეთ ენის ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

10. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

---

11. რატომ აირჩიეთ აღნიშნული სპეციალობა, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიონალური გეგმები და მიზნები.

12. მიუთითეთ, რომელ ცვლაში გსურთ სტაჟირების გავლა ----------

13. თქვენი ინტერესთა სფეროები ----------

14. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული წარსულში:

როდის	ორგანიზაცია - დაწესებულება	თანხის ოდენობა

15. შრომითი საქმიანობა

როდიდან-როდემდე	უწყება, ორგანიზაცია ,	თანამდებობა,	მისამართი უწყების/ ორგანიზაციის სადაც, მუშაობდით

16. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

---

17. გთხოვთ ცალკე ფურცელზე დეტალურად დაასაბუთოთ თუ რას ელით სტაჟირებისაგან. დაიცავით ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები შინაარსის შესახებ.

შინაარსი

- თქვენი პროფესიული მიზნები;
- რა როლს ითამაშებს სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად?
- რატომ აირჩიეთ თქვენ მიერ ზემოთ სტრუქტურული ქვედანაყოფი (დაწესებულება) სტაჟირებისათვის?
- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი აღნიშნული სტრუქტურული ქვედანაყოფის (დაწესებულება) საქმიანობაში?

---

18. შენიშვნები

შევსების თარიღი ----------

პირადი ხელმოწერა ----------